სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5007841323

07/12/2023

5007841323

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული

ბიუროს ინფორმაციის საჯაროობის 2023 წლის ანგარიში.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ინფორმაციის საჯაროობის 2023 წლის ანგარიშს:

1. ბიუროს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით წარედგინა 1697 განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით ბიუროსთვის მომართვის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ბიუროს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას ადგილი არ ჰქონია.
2. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა 1695 შემთხვევაში. 2 განცხადება მომზადების პროცესშია და პასუხი გაიგზავნება კანონით განსაზღვრულ ვადაში. საჯარო ინფორმაცია გაიცემა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების, ბიუროს იურიდიული სამმართველოს უფროსის იმედა გუგუშვილისა და ბიუროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის ეკა ჭუმბურიძის მიერ.
3. ბიურო პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გაცემისას ხელმძღვანელობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
4. ბიუროს მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დაკისრების არცერთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.
5. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე გადაწყვეტილებების მიღებისას ბიურო ხელმძღვანელობდა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დანაწესებით.
6. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2023 წელს მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა.
7. საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით მოსაკრებლის ჯამმა საანგარიშო წლის განმავლობაში შეადგინა 147,70 ლარი. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის (ბიურო არ წარმოადგენს კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას)

თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ª
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2ª I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 434 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

5007841323

თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, მხარ
სასარგებლოდ გადახდილი თანხები, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზ
ეროვნულ ბიუროს არ ჰქონია.

პატივისცემით,

მამუკა ჯანგულაშვილი
ბიუროს უფროსი

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან ფანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი

თარიღი 07 12 2023

ხელმოწერა: ბ.ა

NATIONAL FORENSICS BUREAU